



საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის ბრძანება

თბილისი

10/03/2016

N ს/8

**„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სათათბირო საბჭოს შემადგენლობისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის 2015 წლის 16 დეკემბრის Nს/20 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სათათბირო საბჭოს შემადგენლობისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის 2015 წლის 16 დეკემბრის Nს/20 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი № 2

**ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სათათბირო საბჭოს შემადგენლობა**

**თენგიზ შერგელაშვილი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

**გიორგი ტოკლიკიშვილი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორი, საბჭოს თანათავმჯდომარე;

**მაკა კორძაძე** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ირინა დვალი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელი, საბჭოს მდივანი;

**ქეთევან ბოჭორიშვილი** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

**თამაზ მარსაგიშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

**გიგა გველესიანი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

**მაია დვალიშვილი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე, საბჭოს წევრი;

**შოთა მურდულია** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი;

**ზურაბ ჯირკველიშვილი** - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი;

**დავით ჯიქია** - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი;

**ნათია გუდავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

**დავით მელუა** - ა(ა)იპ - საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს წევრი;

**გიუნტერ ციმერი** - ავსტრიის განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

**შომში შარბი** - საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, საბჭოს წევრი;

**თეიმურაზ ხომერიკი** - სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის რეგიონული ოფისის ეროვნული პროგრამის კოორდინატორი, საბჭოს წევრი;

**რუსუდან აბულაშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“, პროგრამის მრჩეველი, საბჭოს წევრი;

**ვახტანგ ნაცვლიშვილი** - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის კოორდინატორი, საბჭოს წევრი.“.

2. დაევალოს ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელს ირინა დვალს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6).

საფუძველი: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ეროვნული პროგრამის ხელმძღვანელის ბექა თაგაურის 2016 წლის 10 მარტის №18/5 წერილი.

გიორგი ტოკლიკიშვილი



დირექტორი